საგანი - ვიზუალური ხელოვნება

სწავლა-სწავლების მიზნები:

საგნის ,,ვიზუალური ხელოვნება“ სწავლა-სწავლების მიზანია:

- მსოფლიო კულტურის კონტექსტში საკუთარი ქვეყნის კულტურის შესწავლის გზით ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ზიარება, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- საკუთარი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და მის დაცვაზე პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
- სხვადასხვა ეპოქის და კულტურის ხელოვნებასთან ზიარების გზით შემწყნარებლობასა და თანადგომაზე დაფუძნებული მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბება;
- საკუთარი იდეების გამოხატვა ხელოვნების საშუალებით;
- სამყაროს მრავალფეროვნების აღქმა და საკუთარი თავის მის განუყოფელ ნაწილად გაცნობიერება; სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, თვითგამოხატვა და კომუნიკაცია ხელოვნების საშუალებით;
- ვიზუალურ ხელოვნებასა და სხვა სფეროებში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან და საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება, განზოგადება და შემოქმედებითად გამოყენება დროის გამოწვევების შესაბამისად;
- ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარის გამომუშავება, ინოვაციური იდეების ფორმირება;
- ხელოვნებისადმი ინტერესის და მასთან მუდმივად ზიარების სურვილის გაღვივება.

DRAFT

ა) სწავლის შედეგები - დაწყებითი საფეხური (I-IV კლასები)

საგნის „ვიზუალური ხელოვნება“ ფარგლებში დაწყებითი საფეხურის (I-IVკლ) შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების - **„სახვითი ენა“, „ტექნიკა“, „დარგი“, „ჟანრი“** ურთიერთდაკავშირებული გააზრება.

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი** მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნება და მისი მოცულობა** მოსწავლე აცნობიერებს რომ:
(1) სახვითი ენის გამოყენება ნამუშევარში იდეის, გუნება-განწყობის, ემოციების, შთაბეჭდილებების გადმოსაცემად.	➢ ნამუშევრის <u>შექმნისას</u> ჩანაფიქრის შესაბამისად <u>გამოიყენოს</u> ზოგიერთი სახვითი საშუალება; ➢ ნამუშევრის <u>შექმნისას</u> ჩანაფიქრის შესაბამისად <u>გამოიყენოს</u> ზოგიერთი სახვითი ხერხი; ➢ ნამუშევრის <u>შექმნისას</u> ჩანაფიქრის შესაბამისად კომბინირებულად და ურთიერთდაკავშირებულად <u>გამოიყენოს</u> ზოგიერთი სახვითი საშუალება და ხერხი; ➢ <u>აღწეროს</u> საკუთარი ნამუშევარი და <u>ისაუბროს</u> ჩანაფიქრზე; ➢ <u>ახსნას</u> რატომ გამოიყენა ნამუშევარში კონკრეტული სახვითი საშუალებები და/ან ხერხები; ➢ <u>იმსჯელოს,</u> მოახერხა თუ არა ნამუშევარში ჩანაფიქრის გადმოცემა, რას და როგორ <u>შეცვლიდა.</u>	<u>სამიზნე ცნება **„სახვითი ენა“**</u> - ხელოვნებას საკუთარი სახვითი ენა (სახვითი საშუალებები და ხერხები) აქვს, რომლის საშუალებითაც ნამუშევარში იდეებს, ჩანაფიქრს, ამბავს, შთაბეჭდილებას, განწყობილებას, დაკვირვების შედეგებს გადმოვცემთ. ნამუშევარზე საუბრისას ვიყენებთ სახვითი ენის შესაბამის ზოგიერთ ტერმინს. **სახვითი ენა:** **სახვითი საშუალებები - ხაზი** (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური, შტრიხი). **ფერი** (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი, კონტრასტული, ტონი, ნახევარტონი). **ფორმა** (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D), სიმეტრიული და ასიმეტრიული). **ფაქტურა. ფონი.** **სახვითი ხერხები** - რიტმი, ელემენტთა განმეორებადობა, ძირითადის გამოყოფა, წინა და უკანა ხედი, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა, ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.

DRAFT

(2) სხვადასხვა მასალის, ტექნიკის შერჩევა და გამოყენება ნამუშევარში საკუთარი იდეის, ჩანაფიქრის განსახორციელებლად.	➢ ნამუშევრის შექმნისას ჩანაფიქრის შესაბამისად გამოიყენოს სხვადასხვა მასალა და ტექნიკა; ➢ აღწეროს საკუთარი ნამუშევარი და ისაუბროს ჩანაფიქრზე; ➢ ახსნას რატომ გამოიყენა ნამუშევარში კონკრეტული მასალა და ტექნიკა; ➢ იმსჯელოს, მოახერხა თუ არა ნამუშევარში ჩანაფიქრის გადმოცემა შერჩეული ტექნიკით და მასალით, რას და როგორ შეცვლიდა.	სამიზნე ცნება **„ტექნიკა“** - ნამუშევრები სხვადასხვა მასალით და ტექნიკით შეიძლება შეიქმნას. მასალა და ტექნიკა ჩანაფიქრის მიხედვით შეიძლება შეირჩეს. **ტექნიკა:** ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, კონსტრუირება, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.
(3) ხელოვნების ნიმუშების აღმოჩენა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ამ გზით ხელოვნების მრავალფეროვნების გაცნობიერება და ნამუშევრების შექმნა სხვადასხვა დარგსა და/ან ჟანრში.	➢ ყოველდღიურ ცხოვრებაში ნანახი ხელოვნების ნიმუშები მიაკუთვნოს/დააკავშიროს სხვადასხვა დარგთან/ჟანრთან და ახსნას საკუთარი მოსაზრება; ➢ შექმნას ნამუშევარი კონკრეტულ დარგში; ➢ შექმნას ნამუშევარი კონკრეტულ ჟანრში; ➢ იმსჯელოს, მოახერხა თუ არა კონკრეტული დარგის ან ჟანრის ნამუშევრის შექმნა, რას და როგორ შეცვლიდა.	სამიზნე ცნება **„დარგი“** - ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება განაპირობებს. ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალება არის მეტად დამახასიათებელი. **დარგი:** მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა), ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
(4) მსჯელობა თანაკლასელთან ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გასაზიარებლად.	➢ ამოიცნოს ნამუშევარში გამოყენებული სახვითი საშუალებები, ხერხები, მასალა, ტექნიკა, გამოთქვას ვარაუდები და იმსჯელოს მათ შესახებ; ➢ ნამუშევრები დააკავშიროს შესაბამის დარგებთან და/ან ჟანრებთან; ➢ აღწეროს და შეადაროს ნამუშევრები სხვა ნამუშევრებს, ისაუბროს მსგავსება-განსხვავებებზე; ➢ ნამუშევარზე საუბრისას გამოხატოს თავისი დამოკიდებულება და დააკავშიროს საკუთარ გამოცდილებასთან.	სამიზნე ცნება **„ჟანრი“** - ხელოვნების ზოგიერთი ნაწარმოები შინაარსის მიხედვით რომელიმე ჟანრს (პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი და სხვ.) შეიძლება მიეკუთვნებოდეს. **ჟანრი:** პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ყოფითი და სხვ.

DRAFT

ბ) თემატური ბლოკები

I-IV და V-VI კლასებისთვის მოცემულია სამი სავალდებულო თემატური ბლოკი. თემატური ბლოკებიდან შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ თემებს *(მაგალითად, ჩემი სამყარო; წელიწადის დროები; ჩემი ოჯახი და მეგობრები; მოგზაურობა; იდეები, შთაგეჭდილებები, ემოციები; რას გვიყვება ხელოვნება? ყოველდღიური ამბები).* მათ ფარგლებში, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე, მიმდინარეობს საფეხურის შედეგებზე, იდეებსა და წარმოდგენებზე მუშაობა.

თემატური ბლოკი	**იდეები და წარმოდგენები**
მე და გარესამყარო	• მე სამყაროს ნაწილი ვარ, მისგან ბევრი რამის სწავლა შემიძლია; • ხელოვნებას საზღვრები არ აქვს, მისი ენა ყველას ესმის და იგი მთელ სამყაროს აერთიანებს; • ქართული/სხვა ერების ხელოვნების შესწავლით უკეთ შეიძლება გავიგო ვინ ვარ მე და რა ადგილი მაქვს სამყაროში; • ხელოვნების საშუალებით გარესამყაროს შეცვლა მეც შემიძლია; • გარესამყაროს მრავალფეროვნება და ჩემი მისდამი დამოკიდებულება ხელოვნების საშუალებით შემიძლია გადმოვცე; • თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენი დამოკიდებულება სამყაროსადმი ხელოვნების გზით, სრულიად განსხვავებულად შეიძლება გამოვხატოთ.
ადამიანები და ხელოვნება	• ხელოვნება ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს; • ხელოვნების საშუალებით ადამიანებზე, მათ ხასიათზე, ცხოვრებაზე, ბევრი რამის გაგება შეიძლება; • ხელოვნება ეხმარება ადამიანებს უკეთ გაუგონ ერთმანეთს და დაეხმარონ სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრაში; • ხელოვნების საშუალებით შეიძლება გავიგოთ როგორები იყვნენ ადამიანები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში; • ხელოვნების საშუალებით საკუთარი თავის, სხვების და გარესამყაროს უკეთ გაცნობაა შესაძლებელი.
ხელოვნება ჩვენ გარშემო	• ხელოვნება ადამიანის არსებობიდან დღემდე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია; • ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს სხვადასხვა მიზნით და დანიშნულებით ქმნიდნენ და ქმნიან; • ხელოვნება ჩვენ გარშემო ბევრგან და სხვადასხვა ფორმით შეიძლება აღმოვაჩინოთ, თუმცა რასაც ჩვენ გარშემო ვხედავთ, ყველაფერი ხელოვნება არ არის; • ხელოვნება სხვადასხვა დარგად იყოფა. ზოგიერთი დარგის ნიმუში ნებისმიერმა ჩვენგანმა შეიძლება შექმნას; • ხელოვნება ჩემ გარშემო ისეთი მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, როგორიც ადამიანი და გარესამყაროა.

DRAFT

ა) სწავლის შედეგები - V-VI კლასები

საგნის „ვიზუალური ხელოვნება“ ფარგლებში დაწყებითი საფეხურის (V-VI კლასებში) შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების - **„სახვითი ენა“, „ტექნიკა და ტექნოლოგია“, „დარგი“, „ჟანრი“, „ეპოქა, კულტრა, ქვეყანა“** ურთიერთდაკავშირებული გააზრება.

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი** მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნება და მისი მოცულობა** მოსწავლე აცნობიერებს რომ:
(1) სახვითი ენის მიზანმიმართულად გამოყენება ნამუშევარში იდეის, გუნება-განწყობის, ემოციების, შთაბეჭდილებების გადმოსაცემად.	➢ ნამუშევრის <u>შექმნისას</u> მხატვრული ამოცანის შესაბამისად <u>შეარჩიოს</u> და <u>გამოიყენოს</u> სახვითი საშუალებები; ➢ ნამუშევრის <u>შექმნისას</u> მხატვრული ამოცანის შესაბამისად <u>შეარჩიოს</u> და <u>გამოიყენოს</u> სახვითი ხერხები; ➢ ნამუშევრის <u>შექმნისას</u> მხატვრული ამოცანის შესაბამისად <u>შეარჩიოს</u> და კომბინირებულად და ურთიერთდაკავშირებულად <u>გამოიყენოს</u> სახვითი საშუალებები და ხერხები; ➢ <u>აღწეროს, დაახასიათოს</u> საკუთარი ნამუშევარი და <u>ისაუბროს</u> ჩანაფიქრზე; ➢ <u>დაასაბუთოს</u> რატომ გამოიყენა კონკრეტული სახვითი საშუალებები და/ან ხერხები; ➢ <u>იმსჯელოს,</u> მოახერხა თუ არა ჩანაფიქრის გადმოცემა, რას და როგორ <u>შეცვლიდა;</u> ➢ <u>გაავლოს პარალელები</u> საკუთარ და თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებს შორის; ➢ <u>ისაუბროს</u> საკუთარ დამოკიდებულებაზე და <u>გამოთქვას</u> მოსაზრება.	<u>სამიზნე ცნება **„სახვითი ენა“ -**</u> ხელოვნებას საკუთარი სახვითი ენა (სახვითი საშუალებები და ხერხები) აქვს, რომლის საშუალებითაც ნამუშევარში იდეებს, ჩანაფიქრს, ამბავს, შთაბეჭდილებას, განწყობილებას, დამოკიდებულებებს, დაკვირვების შედეგებს გადმოვცემთ. საკუთარ და სხვათა ნამუშევრებზე აზრის გამოთქმისას სახვითი ენის შესაბამის ტერმინებს ვიყენებთ. **სახვითი ენა:** **სახვითი საშუალებები - ხაზი** (სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური, შტრიხი). **ფერი** (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული, მონათესავე, ტონი, ნახევარტონი, ფერის გრადაცია). **ფორმა** (სივრცითი (3D), სიბრტყობრივი (2D), მოცულობითი). **შუქ-ჩრდილი. ფონი. ფაქტურა.** **სახვითი ხერხები** - კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, მთლიანობა, რიტმი, ელემენტთა განმეორებადობა, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია და ასიმეტრია, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა, საგანთა თანაფარდობა და პროპორცია, სივრცე (წინა, შუა და უკანა ხედები), ხედვის წერტილი.

DRAFT

(2) სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნამუშევრების შექმნა და შესაბამისი მასალის, ტექნიკის, ტექნოლოგიის მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საკუთარი იდეის განსახორციელებლად.	➢ <u>შექმნას</u> ნამუშევარი ნებისმიერ დარგში და/ან ჟანრში; ➢ მხატვრული ამოცანის შესაბამისად თავად <u>შეარჩიოს ნამუშევრის დარგი და/ჟანრი;</u> ➢ მხატვრული ამოცანის შესაბამისად <u>შეარჩიოს და გამოიყენოს</u> სხვადასხვა მასალა, ტექნიკა ტექნოლოგია; ➢ <u>ისაუბროს</u> ნამუშევარში გადმოცემულ იდეაზე, ჩანაფიქრზე; ➢ <u>ისაუბროს</u> რატომ შეარჩია კონკრეტული დარგი ან ჟანრი საკუთარი იდეის გადმოსაცემად; ➢ <u>ახსნას,</u> რატომ და როგორ შეარჩია და გამოიყენა სხვადასხვა მასალა, ტექნიკა, ტექნოლოგია შერჩეულ დარგის/ჟანრის ნამუშევარში; ➢ <u>იმსჯელოს,</u> მოახერხა თუ არა ჩანაფიქრის გადმოცემა, რას და როგორ <u>შეცვლიდა;</u> ➢ <u>გაავლოს პარალელები</u> საკუთარ და თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა მსგავს ნამუშევრებს შორის; ➢ <u>ისაუბროს</u> საკუთარ დამოკიდებულებაზე და <u>გამოთქვას</u> მოსაზრება.	<u>სამიზნე ცნება **„ტექნიკა და ტექნოლოგია“**</u> - ნამუშევარი სხვადასხვა მასალით, ტექნიკით და ტექნოლოგიით იქმნება. მასალა, ტექნიკა და ტექნოლოგია მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით შეიძლება შეირჩეს. **ტექნიკა, ტექნოლოგია:** ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები (მონასმი, ლაქა, ანაბეჭდი), ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუირება, კომპიუტერული ტექნოლოგიები (სახატავი პროგრამა და სხვ.). <u>სამიზნე ცნება **„დარგი“**</u> - ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება განაპირობებს. ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალება არის მეტად დამახასიათებელი. **დარგი:** ფერწერა (დაზგური, ხელნაწერთა მინიატურა, კედლის მხატვრობა), გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება (მრგვალი, რელიეფი), არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

DRAFT

(3) ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებში ეპოქის, ქვეყნის, კულტურის მხატვრული მახასიათებლების ამოცნობა და სხვადასხვა კონტექსტთან დაკავშირება ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმისა და დამოკიდებულების გამომუშავებისათვის.	➢ ამოიცნოს ზოგიერთი ეპოქის, კულტურის, ქვეყნის ხელოვნება ძირითადი მხატვრული მახასიათებლის მიხედვით; ➢ მიაკუთვნოს ხელოვნების ნიმუში/ნიმუშები რომელიმე ეპოქას, კულტურას, ქვეყანას ზოგიერთი მხატვრული მახასიათებლის მიხედვით და დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება; ➢ შეადაროს ერთმანეთს ზოგიერთი ეპოქის, კულტურის, ქვეყნის ხელოვნების ნიმუშები და იმსჯელოს მსგავსება-განსხვავებაზე მათ მხატვრულ მახასიათებლებს შორის, გაავლოს პარალელები დღევანდელობასთან, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება; ➢ დააკავშიროს ეპოქის, კულტურის, ქვეყნის ხელოვნების მხატვრული მახასიათებლები ზოგიერთ კონტექსტთან (ისტორიული/ რელიგიური/ კულტურული/ სოციალური) და გაავლოს პარალელები დღევანდელობასთან; ➢ გამოიყენოს შესაბამისი დარგობრივი ტერმინები.	სამიზნე ცნება **„ჟანრი“** - ხელოვნების ზოგიერთი ნაწარმოები შინაარსის მიხედვით შეიძლება რომელიმე ჟანრს (პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი და სხვ.) მიეკუთვნებოდეს. **ჟანრი:** ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი, მითოლოგიური და სხვ. სამიზნე ცნება **„ეპოქა, კულტრა, ქვეყანა“** - ყველა ეპოქის, კულტურის, ქვეყნის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ხელოვნების საშუალებით საქართველოს, სხვა ქვეყნების, სხვადასხვა ეპოქის და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება. **ეპოქა, კულტურა, ქვეყანა** *და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა სწავლა-სწავლების მიზნების გათვალისწინებით.*

DRAFT

ბ) თემატური ბლოკები

I-IV და V-VI კლასებისთვის მოცემულია სამი სავალდებულო თემატური ბლოკი. თემატური ბლოკები შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ თემებს *(მაგალითად, ჩემი სამყარო; წელიწადის დროები; ჩემი ოჯახი და მეგობრები; მოგზაურობა; იდეები, შთაგეჭდილებები, ემოციები; რას გვიყვება ხელოვნება? ყოველდღიური ამბები).* მათ ფარგლებში, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე, მიმდინარეობს საფეხურის შედეგებზე, იდეებსა და წარმოდგენებზე მუშაობა.

თემატური ბლოკი	**იდეები და წარმოდგენები**
მე და გარესამყარო	• მე სამყაროს ნაწილი ვარ, მისგან ბევრი რამის სწავლა შემიძლია; • ხელოვნებას საზღვრები არ აქვს, მისი ენა ყველას ესმის და იგი მთელ სამყაროს აერთიანებს; • ქართული/სხვა ერების ხელოვნების შესწავლით უკეთ შეიძლება გავიგო ვინ ვარ მე და რა ადგილი მაქვს სამყაროში; • ხელოვნების საშუალებით გარესამყაროს შეცვლა მეც შემიძლია; • გარესამყაროს მრავალფეროვნება და ჩემი მისდამი დამოკიდებულება ხელოვნების საშუალებით შემიძლია გადმოვცე; • თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენი დამოკიდებულება სამყაროსადმი ხელოვნების გზით, სრულიად განსხვავებულად შეიძლება გამოვხატოთ.
ადამიანები და ხელოვნება	• ხელოვნება ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს; • ხელოვნების საშუალებით ადამიანებზე, მათ ხასიათზე, ცხოვრებაზე, ბევრი რამის გაგება შეიძლება; • ხელოვნება ეხმარება ადამიანებს უკეთ გაუგონ ერთმანეთს და დაეხმარონ სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრაში; • ხელოვნების საშუალებით შეიძლება გავიგოთ როგორები იყვნენ ადამიანები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში; • ხელოვნების საშუალებით საკუთარი თავის, სხვების და გარესამყაროს უკეთ გაცნობაა შესაძლებელი.
ხელოვნება ჩვენ გარშემო	• ხელოვნება ადამიანის არსებობიდან დღემდე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია; • ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს სხვადასხვა მიზნით და დანიშნულებით ქმნიდნენ და ქმნიან; • ხელოვნება ჩვენ გარშემო ბევრგან და სხვადასხვა ფორმით შეიძლება აღმოვაჩინოთ, თუმცა რასაც ჩვენ გარშემო ვხედავთ, ყველაფერი ხელოვნება არ არის; • ხელოვნება სხვადასხვა დარგად იყოფა. ზოგიერთი დარგის ნიმუში ნებისმიერმა ჩვენგანმა შეიძლება შექმნას; • ხელოვნება ჩემ გარშემო ისეთი მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, როგორიც ადამიანი და გარესამყაროა.

DRAFT

ა) სწავლის შედეგები (საბაზო საფეხური)

საგნის „ვიზუალური ხელოვნება“ ფარგლებში საბაზო საფეხურის (VII-Xკლ) შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების - **„სახვითი ენა“, „ტექნიკა და ტექნოლოგია“, ,,შინაარსი, ფორმა და დანიშნულება“**, ,,**ეპოქა, ქვეყანა, კულტურა, მიმდინარეობა, სტილი“** ურთიერთდაკავშირებული გააზრება.

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი** მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნება და მისი მოცულობა** მოსწავლე აცნობიერებს, რომ:
(1) ნამუშევრის შექმნისას, მხატვრული ამოცანის გადასაჭრელად (თვითგამოხატვა, რაიმე იდეის გადმოცემა და სხვ.) შესაბამისი ფორმის, სტილის, სახვითი ენის, მასალის, ტექნიკის, ტექნოლოგიების შერჩევა, შემოქმედებითად გამოყენება და მათი შესაძლებლობების გაცნობიერება.	➢ ნამუშევრის <u>შექმნისას</u> მხატვრული ამოცანის შესაბამისად <u>შეარჩიოს</u> და <u>გამოიყენოს</u> სახვითი საშუალებები და ხერხები და <u>დაასაბუთოს</u> საკუთარი არჩევანი; ➢ ნამუშევრის <u>შექმნისას</u> მხატვრული ამოცანის შესაბამისად <u>შეარჩიოს</u> და <u>შემოქმედებითად</u> <u>გამოიყენოს</u> სახვითი საშუალებები და ხერხები (მაგ., ჩანს მისეული ხედვა, ეფექტური, ორიგინალური მიდგომა, ექსპერიმენტი და სხვ.) და <u>დაასაბუთოს</u> საკუთარი არჩევანი; ➢ თავად <u>დასახოს</u> მხატვრული ამოცანა, იდეის შესაბამისად <u>შეარჩიოს</u> და <u>შემოქმედებითად</u> <u>გამოიყენოს</u> სახვითი საშუალებები და ხერხები, <u>დაასაბუთოს</u> საკუთარი არჩევანი; ➢ მხატვრული ამოცანის გადასაჭრელად <u>შეარჩიოს</u> და <u>გამოიყენოს</u> მასალა, ტექნიკა, ტექნოლოგია; ➢ მხატვრული ამოცანის გადასაჭრელად <u>შეარჩიოს</u> და <u>შემოქმედებითად</u> <u>გამოიყენოს</u> მასალა, ტექნიკა, ტექნოლოგია; ➢ ჩანაფიქრის, იდეის შესაბამისად <u>შეარჩიოს</u> ნამუშევრის შინაარსი, ფორმა და <u>დაასაბუთოს</u> საკუთარი არჩევანი; ➢ მხატვრული ამოცანის გადასაჭრელად <u>შემოქმედებითად</u> <u>გამოიყენოს</u> კონკრეტული/ სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნების მხატვრული მახასიათებლები. ➢ <u>იმსჯელოს,</u> მოახერხა თუ არა საკუთარი იდეის, ჩანაფიქრის გადმოცემა, რას და როგორ <u>შეცვლიდა;</u> ➢ <u>იმსჯელოს</u> სახვითი ენის შესაძლებლობებზე და <u>გაავლოს</u> <u>პარალელები</u> საკუთარ გამოცდილებასთან.	<u>სამიზნე ცნება **,,სახვითი ენა“**</u> - ხელოვნება იდეების, შთაბეჭდილებების, ემოციების, განწყობილების გადმოცემის საშუალებაა. მას საკუთარი უნივერსალური სახვითი ენა (სახვითი საშუალებები და ხერხები) აქვს, რომელსაც ვიყენებთ ნამუშევრის შექმნისას სხვადასხვა მხატვრული ამოცანის გადასაჭრელად, ასევე, ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. **სახვითი ენა:** **სახვითი საშუალებები - ხაზი** (სხვადასხვა ტიპის ხაზი, შტრიხი); **ფერი** (ცივი და თბილი, კონტრასტული და სხვ., კოლორიტი, ტონი, ნახევარტონი, ფერის გრადაცია და სხვ.); **ფორმა** (სივრცითი (3D), სიბრტყობრივი (2D), მოცულობითი, უტრირებული, სტილიზებული და სხვ). **შუქ-ჩრდილი. განათება. ფაქტურა. ფონი.** **სახვითი ხერხები** - კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, მთლიანობა, ელემენტების განმეორებადობა, რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია-ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი, მასშტაბი, თანაფარდობა, პროპორცია/დისპროპორცია, სივრცე, პერსპექტივა (ხაზოვანი, ჰაეროვანი, ფერადოვანი), უკუპერსპექტივა, ხედვის წერტილი, რაკურსი. <u>სამიზნე ცნება **,,ტექნიკა და ტექნოლოგია”**</u> - ხელოვნების ნიმუშები, როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე ტექნიკის, ტექნოლოგიების და მათთან დაკავშირებული

DRAFT

(2) ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაანალიზებით და სხვადასხვა კონტექსტში განხილვით სამყაროში მიმდინარე პროცესებისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების გააზრება.	➢ <u>გააანალიზოს</u> ნამუშევრებში გამოყენებული სახვითი ენა, ტექნიკა, ტექნოლოგიები და <u>შეადაროს</u> სხვა ნამუშევრებს; ➢ <u>იმსჯელოს</u> ნამუშევრების ფორმაზე, შინაარსზე, დანიშნულებაზე, <u>შეადაროს</u> სხვა ნამუშევრებს და <u>დააკავშიროს</u> დღევანდელობასთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან; ➢ <u>მიაკუთვნოს</u> ნამუშევრები შესაბამის ეპოქას, ქვეყანას, კულტურას, მიმდინარეობას, სტილს მხატვრული მახასიათებლების მიხედვით <u>შეადაროს</u> სხვა ნამუშევრებს და <u>დაასაბუთოს</u> საკუთარი მოსაზრება; ➢ <u>დააკავშიროს</u> სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნების მხატვრული მახასიათებლები ისტორიულ, რელიგიურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტთან; ➢ დააკავშიროს საქართველოს ხელოვნების მახასიათებლები სხვადასხვა კონტექსტთან და <u>გაავლოს პარალელები</u> მსოფლიო ხელოვნებასთან; ➢ <u>ამოიკითხოს</u> საზრისი და <u>გამოთქვას</u> მოსაზრება/ვარაუდი ნამუშევრის იდეის შესახებ, <u>გამოხატოს</u> საკუთარი დამოკიდებულება; ➢ <u>იმსჯელოს</u> სამყაროში და ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს შორის ურთიერთმიმართებაზე და <u>მოიყვანოს</u> შესაბამისი მაგალითები.	მასალების გამოყენებით შეიძლება შეიქმნას. ავტორი მათ შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად ირჩევს. ტექნიკა, ტექნოლოგიები, მასალები კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ჩნდებოდა, ვითარდებოდა და იცვლებოდა. **ტექნიკა, ტექნოლოგია:** ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოდელირება, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები და სხვა. <u>სამიზნე ცნება **„შინაარსი, ფორმა და დანიშნულება“**</u> - ხელოვნების ნიმუშებს სხვადასხვა დანიშნულება, ფორმა და შინაარსი აქვს. ხელოვნების ნიმუშები დანიშნულების, გამოყენებული მასალის, ტექნიკის და სახვითი საშუალებების მიხედვით რამდენიმე დარგად იყოფა: არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვ. ზოგიერთი დარგის (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება) ნამუშევარი მასში გადმოცემული შინაარსის მიხედვით შეიძლება ჟანრებად დაიყოს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი და სხვ.). თანამედროვე სამყაროში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება ხელოვნების ახალი ფორმების გაჩენა (პერფორმანსი, აქცია, ჰეფენინგი, ობიექტი, ინსტალაცია, ციფრული (დიგიტალური) ხელოვნება, ლენდარტი და სხვ.). იდეები და მათი გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანი, უჩვეულო და უსაზღვროა. **შინაარსი:** თემა, სიუჟეტი, ჟანრი (ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი, ისტორიული და სხვ.). **დანიშნულება, ფორმა:** დარგი - ფერწერა (დაზგური, მონუმენტური - კედლის მხატვრობა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი), მინიატურა, გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება, არქიტექტურა, დიზაინი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება); ხელოვნების თანამედროვე ფორმები - პერფორმანსი, აქცია, ჰეფენინგი, ობიექტი, ინსტალაცია, ციფრული (დიგიტალური) ხელოვნება, ლენდარტი და სხვ.

DRAFT

		<u>სამიზნე ცნება</u> **<u>„ეპოქა, ქვეყანა, კულტურა, მიმდინარეობა, სტილი“</u>** ქართულ ხელოვნებას, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კულტურის, ეპოქის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებლები, მხატვრული ნიშნები რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, სახვითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (ეპოქალური კონტექსტი, მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.). სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს მათი ურთიერთგავლენა. ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება. **ეპოქა, ქვეყანა, კულტურა, მიმდინარეობა, სტილი:** პრეისტორია, ძველი ცივილიზაციები, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, აღმოსავლური ხელოვნება (ახლო და შორეული აღმოსავლეთი), აღორძინების ხანა, XVII-XIX საუკუნეები, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი, თანამედროვე ხელოვნება და სხვ.

DRAFT

ბ) თემატური ბლოკები

საბაზო საფეხურის VII-IX კლასებისთვის მოცემულია სამი სავალდებულო თემატური ბლოკი. ეს თემატური ბლოკები შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ თემებს *(მაგალითად, ბუნებრივი და ადამიანის შექმნილი გარემო; ხელოვნება და ადამიანის შინაგანი სამყარო; ხელოვნების ყოფითი და ესთეტიკური დანიშნულება და სხვ.,).* ამავე საფეხურის X კლასისთვის მოცემულია ერთი სავალდებულო თემატური ბლოკი და ოთხი სავალდებულო თემა. თემატური ბლოკების ფარგლებში, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე, მიმდინარეობს საფეხურის შედეგებზე, იდეებსა და წარმოდგენებზე მუშაობა.

VII-IX კლასები	
თემატური ბლოკი	**იდეები და წარმოდგენები**
გარემო და ხელოვნება	• გარემო ადამიანის შემოქმედებაზე ახდენს გავლენას, ადამიანის შექმნილი კი ზემოქმედებს გარემოზე; • გარემო ადამიანის მუდმივი ინტერესისა და დაკვირვების ობიექტია; დაკვირვება მნიშვნელოვანია გარესამყაროს შესაცნობად; • გარემოდან მიღებულ შთაბეჭდილებებსა და დაკვირვების შედეგებს ადამიანი იყენებს საკუთარ ნამუშევრებში იდეების გადმოსაცემად და თვითგამოხატვისთვის; • გარესამყაროს ასახვას ნამუშევარში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზანი და ფუნქცია ქონდა; • გარესამყაროს ასახვის მრავალი გზა და ხერხი არსებობს; უძველესი დროიდან დღემდე გარემომცველ სამყაროს ადამიანები მრავალფეროვანი სახვითი საშუალებებით, ხერხებით, მასალით, ტექნიკითა და ტექნოლოგიების გამოყენებით ასახავენ; • ხელოვანები გარესამყაროსადმი საკუთარ დამოკიდებულებას, წარმოდგენებს განსხვავებულად გადმოსცემენ; • გარემო და მისადმი ჩემი დამოკიდებულება ნამუშევარში მრავალი განსხვავებული ხერხით შეიძლება გადმოვცე; • ადამიანი ხელოვნებას სხვადასხვა გზით შეიძლება ეზიაროს; • სამყაროს მრავალფეროვნების აღქმა და ასახვა მასზე დაკვირვებითა და შესწავლითაა შესაძლებელი.
ადამიანი და ხელოვნება	• ადამიანი (გარეგნობა, ხასიათი, სოციალური მდგომარეობა, მისი განწყობილება და სხვ.) და მისი ცხოვრება სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების მუდმივი ინტერესის ობიექტია; • ადამიანის გამოსახულება სხვადასხვა დროსა და კულტურაში სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნებოდა; • უძველესი დროიდან დღემდე ადამიანის გამოსახვა მრავალფეროვანი სახვითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის, ტექნოლოგიის გამოყენებითაა შესაძლებელი; • ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვა და გარემომცველი სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა მრავალი სხვადასხვა ფორმით (სახვითი საშუალებები, ხერხები, მასალა, ტექნიკა, ტექნოლოგია) არის შესაძლებელი; • ვიზუალური ხელოვნება არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა; ხელოვნების საშუალებით შესაძლებელია როგორც შინაგანი სამყაროს ასახვა, ისე გარემომცველი სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა; • ეროვნული კულტურის შესწავლა ხელს უწყობს თვითშემეცნებას და პიროვნულ განვითარებას.
საზოგადოება და ხელოვნება	• უძველესი დროიდან დღემდე ხელოვნება ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ის ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;

DRAFT

	• ხელოვნება კომუნიკაციის, ადამიანებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალებაა; • ხელოვნების ნიმუშების საშუალებით ბევრი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი; • საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ხელოვნების შესწავლის გზით ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ზიარებაა შესაძლებელი; • სათქმელის, იდეების, ინფორმაციის გადმოსაცემად სხვადასხვა სახვითი საშუალების, ხერხის, მასალის, ტექნიკის, თანამედროვე საკომუნიკაციო ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაა შესაძლებელი; • ხელოვნება ადამიანზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა; სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში ზემოქმედებისთვის ხელოვნებას და მის სახვით ენას სხვადასხვანაირად იყენებდნენ; • ხელოვნების გზით სამყაროში მიმდინარე მოვლენებსა და გამოწვევებზე რეაგირება და საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებაა შესაძლებელი.

-

X კლასი		
თემატური ბლოკი	**იდეები და წარმოდგენები**	**სავალდებულო თემები**
ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში ***შენიშვნა:*** *სტანდარტში ტერმინი „ქართული ხელოვნება“ ფართო მნიშვნელობით არის გამოყენებული და აერთიანებს ხელოვნების იმ ნიმუშებს, რომლებიც თავისი შექმნის კონტექსტით საქართველოს ისტორიასთან და კულტურასთან არის დაკავშირებული.*	• ქართული ხელოვნების მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში შესწავლით, შესაძლებელია მისი უნიკალურობის გააზრება და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად გაცნობიერება; • ქართული ხელოვნების მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში შესწავლით, შესაძლებელია ქართული ხელოვნების თავისებურებების გააზრება, კავშირებისა და ურთიერთმიმართებების აღმოჩენა სხვადასხვა ეპოქის, კულტურის თუ ქვეყნის ხელოვნებასთან; • სხვადასხვა ეპოქის ქართული და მსოფლიო ხელოვნების შესწავლის გზით შესაძლებელია არსებული დროითი კონტექსტის გაგება-გააზრება, ქართული ხელოვნების ლოკალური მხატვრული პროცესის მსოფლიო ხელოვნების ტენდენციების ფონზე შეფასება; • სხვადასხვა ეპოქის ქართული და მსოფლიო ხელოვნების შესწავლის გზით შესაძლებელია ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების გააზრება და საკუთარი მხატვრული ჩანაფიქრის მრავალფეროვანი ფორმებით გადმოცემა.	• უძველესი ხანის ხელოვნება საქართველოსა და მსოფლიოში • ანტიკური სამყაროს ხელოვნება და საქართველო (კოლხეთი და იბერია) • შუა საუკუნეების ხელოვნება საქართველოსა და მსოფლიოში • ახალი და უახლესი ეპოქის ხელოვნება საქართველოსა და მსოფლიოში

DRAFT